საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MUNICIPAL DEVELOPMENT FUND OF GEORGIA

452-g-2-201902181753

N 452-g

18/02/2019

REFORMANDA
„საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 23
თარიღი: 7 03 2019 წ.

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს დავით ქუტიძეს
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #75g
ტელ: 599 78 65 61

ბატონო დავით,

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის" მიერ განხილულ იქნა თქვენი მიმდინარე წლის 31 იანვრის #22 (ფონდში რეგისტაციის თარიღი 04 თებერვალი) განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე.

წარმოგიდგენთ ინფორმაციას თქვენ მიერ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით.

- თბილისი-რუსთავის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის საპროექტო ავტობანის სიგრძე ჯამში 17,4 კმ-ია. ობიექტის სირთულის გათვალისწინებით, საპროექტო ტრასა გაყოფილია სამ მონაკვეთად (I, II და III მონაკვეთები), რომელთა სიგრძეებია:
  - პირველი მონაკვეთი: 4კმ;
  - მეორე მონაკვეთი: 6,8კმ;
  - მესამე მონაკვეთი: 6,6კმ.
- მაგისტრალის მშენებლობა დაიწყო პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობით 2014 წლის აპრილში.
- სამშენებლო სამუშაოების ღირებულება და კონტრაქტორი:
  - პირველი და მესამე მონაკვეთები - 95,3 მლნ ლარი; კონტრაქტორი Sinohydro Corporatin ltd (შპს სინოჰიდრო, ჩინეთი);
  - მეორე მონაკვეთი - 118,99 მლნ ლარი. კონტრაქტორი - Seza Insaat ltd (შპს სეზა, თურქეთი).
- მაგისტრალის პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობა დასრულდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადაში 2016 წლის მაისის ბოლოს. მეორე მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო 2017 წლის თებერვალში. კონტრაქტორს ჯერ არ გადასცემია სამშენებლო მოედნის ზოგიერთი მონაკვეთი.
- ამ ეტაპზე მთლიანად არის დასრულებული პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობა და შესაბამისად მოძრაობა გახსნილია 10,6 ლმ-ზე. ასევე დასრულებულია მეორე მონაკვეთის საწყისი და ბოლო სექციები (დაახლოებით 2-2 კილომეტრი), სადაც ასევე ნაწილობრივ (ერთი მიმართულებით) ან მთლიანდ არის გახსნილი მოძრაობა.
- სამშენებლო სამუშაოები, ექსპლუატაციაში მიღება, დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდი და პროქტის დასრულება დამოკიდებული იქნება ზემოთ აღნიშნული საკითხის დასრულებასთან.

პატივისცემით

ნიკოლოზ დოლიძე

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

დ. აღმაშენებლის გამზ. №150
0112, თბილისი, საქართველო
ტელ. (+99532) 2437001/02/03

№150 D. Aghmashenebeli Ave.
0112, Tbilisi, Georgia
Tel: (+99532) 2437001/02/03
Fax: (+99532) 2437077